შპს ,,ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“
მედიცინის სკოლის დეკანის არჩევნების გამოცხადების თაობაზე

რექტორის 2023 წლის 18 აგვისტოს N01-11/10 ბრძანების
დანართი N1

შპს ,,ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“
მედიცინის სკოლის დეკანის არჩევნები

1. 2023 წლის 18 აგვისტოს გამოცხადდა შპს ,,ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ **მედიცინის სკოლის დეკანის არჩევნები.**
2. განისაზღვრა მედიცინის სკოლის დეკანის არჩევნების ჩასატარებლად შემდეგი ვადები:
   ა) კანდიდატების რეგისტრაცია (განაცხადის, დოკუმენტაციის და სამოქმედო გეგმების წარმოდგენა) - 2023 წლის **18 სექტემბრიდან 22 სექტემბრის ჩათვლით** - ყოველდღე 14.00 - 18.00 სთ-მდე (მისამართი: ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. N4, ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურში, მე-4 სართული, ოთახი N414) ან წარმოადგინოს ელექტრონულად ელ. ფოსტაზე - info@avicenna.ge;
   ბ) დოკუმენტაციის გადარჩევა საარჩევნო კომიტეტის მიერ - 2023 წლის **25-26 სექტემბერი;**
   გ) კანდიდატების მიერ წარმოდგენილი **სამოქმედო გეგმების** მედიცინის სკოლის საბჭოს მიერ **მოსმენა** და **არჩევნები** (კენჭისყრა)- 2023 წლის **3-4 ოქტომბერი** (კონკრეტული თარიღი და დრო/საათი მოსმენამდე/არჩევნებამდე 3 დღით ადრე გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ეცნობოს მედიცინის სკოლის საბჭოს წევრებს და კანდიდატებს);
   დ) **არჩევნების შედეგების** გამოცხადება უნივერსიტეტის ვებგვერდზე - 2023 წლის **5 ოქტომბერს;**
   ე) არჩევნებში გამარჯვებულ კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების **4 წლის** ვადით გაფორმება - **2023 წლის 6 ოქტომბრიდან.**

10. მედიცინის სკოლის დეკანის არჩევნებში მონაწილეობისათვის **კანდიდატმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
   ა) უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი:
   ბ) უნდა ეკავოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობა;
   გ) უნდა ჰქონდეს და წარმოადგინოს შპს ,,ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ მედიცინის სკოლის დეკანის თანამდებობაზე **სამოქმედო გეგმა;**
   დ) უნდა ჰქნოდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ/მენეჯერულ/მმართველობით პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ **5 წლის** შრომითი გამოცდილება;

11. მედიცინის სკოლის დეკანის არჩევნებში მონაწილეობისათვის **კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**
   ა) განცხადება არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე (კანდიდატის ვინაობის, საცხოვრებელი მისამართის, საკონტაქტო ტელეფონის ნომრის, ელ.ფოსტის მისამართის მითითებით);

ბ) ავტობიოგრაფია (CV);
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
დ) ორი ფოტოსურათი (3X4);
ე) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის, მათ შორის დოქტორის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;
ვ) პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დაკავების დამადასტურებელი ცნობა;
ზ) უნივერსიტეტთან აფილირების შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);
თ) სამოქმედო გეგმა, რომელიც აღწერს კანდიდატის ხედვას სკოლის განვითარების მიმართულებით (დალუქული კონვერტით);
ი) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ/მენეჯერულ/მმართველობით პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ **5 წლის შრომითი გამოცდილების** დამადასტურებელი ცნობა;
კ)სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის **<u>ნასამართლეობის ცნობა</u>** (შენიშვნა: ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება. არჩევნებში მონაწილეობისათვის რეგისტრაციის დღისათვის ნასამართლობის შესახებ ცნობა უნდა იყოს მოქმედი (კანონმდებლობის თანახმად ცნობის მოქმედების ვადა 15 დღეა).
12. არჩევნების მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ მედიცინის სკოლის დებულებას, მედიცინის სკოლის დეკანის სამუშაო აღწერილობას, ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის დებულებას, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს და ასევე სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციებს, უნივერსტიტეტის ვებგვერდზე (ველში იურიდიული ცნობარი).